ადამიანით ვაჭრობა

ტრეფიკინგი

ცნობარი მშობლებისთვის

პროექტს ახორციელებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

პროექტი დაფინანსებულია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ.

IOM International Organization for Migration

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

ფოტოსურათი ყდაზე:
© ჩემილ ალიანაკი/IOM, 1995

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)
© 2010

პატივცემულო ქალბატონო/ბატონო

თქვენმა შვილმა სკოლიდან მოგიტანათ ეს ბროშურა. მან უკვე იცის, რომ არსებობს საფრთხე, რომელსაც ადამიანით ვაჭრობა ანუ ტრეფიკინგი ჰქვია. მას თანამედროვე მონობასაც უწოდებენ. ეს ადამიანის მიმართ ჩადენილი სასტიკი დანაშაულია, ხოლო ამ დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ბავშვიც, ქალიც, მამაკაციც.

გვინდა, თქვენც მოგითხროთ, რატომაა მნიშვნელოვანი, რომ ბავშვებმა იცოდნენ, თუ რა არის ტრეფიკინგი და როგორ აიცილონ თავიდან ეს დიდი საფრთხე.

რა არის ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)?

ადამიანით ვაჭრობაა, როცა ადამიანით მოვაჭრეებს ვინმე გადაყავთ თავისი საცხოვრებელი ადგილიდან სხვა ადგილას იმისათვის, რომ ისეთი საქმე აკეთებინონ, რისი გაკეთებაც მას არ უნდა. გამოიყენონ იგი უკანონო ან სახიფათო შრომაში, იძულებით ამუშაონ, ანუ გაუწიონ ექსპლუატაცია და ამით თავად გამდიდრდნენ, რადგან ასეთი გზით გამომუშავებული ფული ადამიანით მოვაჭრეების ხელში ხვდება.

ტრეფიკინგის მსხვერპლის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმები: იძულებითი შრომა (სოფლის მეურნეობაში, მსუბუქი მრეწველობაში, შინამოსამსახურეობა და ა.შ.), სექსუალური ექსპლუატაცია (იძულებითი პროსტიტუცია), იძულებითი მათხოვრობა და სხვა.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

არის **დანაშაული**, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ყიდვას ან გაყიდვას, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმების (მოტაცება, შანტაჟი, თაღლითობა, მოტყუება, უმწეო მდგომარეობაში ჩაყენება, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება) გამოყენებით, რომლის დროსაც ხდება ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, საკუთარ ან სხვა ქვეყანაში ტრანსპორტირება, ადამიანით მოვაჭრეებისათვის გადაცემა, შეფარება ანდა მიღება მისი ექსპლუატაციის გზით სარგებლის მიღების მიზნით.

(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლის მიხედვით).



IOM International Organization for Migration

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

რა უწყობს ხელს/იწვევს ადამიანით ვაჭრობას?

- სიღარიბე და უმუშევრობა, კონფლიქტი და დესტაბილიზაცია, მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმირება.
- სიღარიბეში მყოფი ადამიანის დაყოლიება და დარწმუნება იმაში, რომ სხვაგან მას უკეთესი ცხოვრება ელის, უფრო ადვილია.
- განვითარებულ ადგილებში და ქვეყნებში დიდი მოთხოვნაა იაფ მუშახელზე.

როგორ შეიძლება ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი გახდე?

- ხშირად გადამბირებლები და შუამავლები ადამიანების გადაბირებას, ანუ მაღალანაზღაურებად სამუშაოზე მოწყობის შესახებ ცრუ დაპირებებით, მოტყუებით ან სხვა ხერხებით გამგზავრებაზე მათ დაყოლიებას, მათგან თანხმობის მიღებას ახერხებენ. მათ ატოვებინებენ საცხოვრებელ ადგილებს და გადაჰყავთ სხვა ადგილებში, მაგალითად, სოფლიდან ქალაქში ან პირიქით, ან გაყავთ სხვა ქვეყანაში.
- გადამბირებელი შეიძლება იყოს უცნობი ადამიანი, უფრო ხშირად კი ახლობელი, მეზობელი, ნათესავი ან მეგობარი.

IOM International Organization for Migration

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

რას ამბობს კანონმდებლობა?

საქართველოში არის კანონმდებლობა, რომლის თანახმად ადამიანით ვაჭრობა მძიმე დანაშაულად ითვლება, ხოლო ვინც ამ დანაშაულს ჩადის, მკაცრად დაისჯება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია სამი სხვადასხვა მუხლი ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებით. მათ შორის, 143^1 მუხლი ითვალისწინებს სასჯელს ზრდასრული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ, 143^2 მუხლი — არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ხოლო 143^3 მუხლით განისაზღვრება სასჯელი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ზომები, რომელსაც ეს მუხლები ითვალისწინებს, სხვადასხვაა. ძალზედ მკაცრია კანონი უშუალოდ ადამიანით მოვაჭრეების მიმართ: 143^1 მუხლის მიხედვით, სასჯელის მინიმალური ზომაა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით, მაქსიმალური — 20 წლით, 143^2 მუხლის მიხედვით სასჯელის მინიმალური ზომაა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მაქსიმალურით გათვალისწინებულია სამუდამო პატიმრობა.

IOM International Organization for Migration

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

რატომ ასწავლიან სკოლაში ადამიანით ვაჭრობის შესახებ?

ბევრმა ბავშვმა არ იცის, თუ რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს ტრეფიკინგის სახით და როგორ აიცილოს ეს საფრთხე თავიდან. შეიძლება არ იცოდეს ვის და როგორ მიმართოს დახმარებისათვის.

ინტერაქტიული მეთოდებისა და სპეციალურად შემუშავებული სასწავლო მასალის მეშვეობით, მოსწავლეები შეიძენენ ისეთ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ შემდგომ ცხოვრებაში რთული სიტუაციების დროს სწორი არჩევანის გააკეთებასა და მყარი ნაბიჯების გადადგმაში დაეხმარებათ.

IOM International Organization for Migration

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

გაითვალისწინეთ!

საზღვარგარეთ სამუშაოდ, სასწავლებლად, სტუმრად ან ტურისტად გამგზავრება შესანიშნავი საშუალებაა ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ცოდნისა და უცხოური გამოცდილების შესაძენად. თუმცა, უნდა იცოდეთ, რომ საზღვარგარეთ გამგზავრება ბევრი წესისა და კანონის დაცვასთან არის დაკავშირებული. ეს კანონები, გამგზავრების მიზნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია.

საზღვარგარეთ გამგზავრების მსურველები ხშირად არ იცნობენ კანონიერი მიგრაციის წესებს და, მეტწილად, უხოეთში უკანონო გზებით ცდილობენ დამკვიდრებას, რაც გარკვეულ რისკს უკავშირდება.

IOM International Organization for Migration

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

როგორ მოვიქცეთ, თუ უცხოეთში სამუშაოდ გამგზავრებას გთავაზობენ?

- წინასწარ გაარკვიეთ იმ ადგილის დასახელება, მისამართი და ტელეფონის ნომერი, სადაც გაჩერდებით. შეძლებისამებრ, დაუკავშირდით თქვენს პოტენციურ დამსაქმებელს ტელეფონის ან ფოსტის საშუალებით, რათა გადაამოწმოთ სამუშაო ადგილის ნამდვილობა, ასევე დააზუსტეთ თქვენი ხელფასის და საცხოვრებელი პირობების საკითხი.
- გამგზავრებამდე დაუკავშირდით შესაბამის ორგანიზაციებს თქვენს სამშობლოში პოტენციური დამსაქმებლის ან კომპანიის კანონიერების და მათი სანდოობის გარკვევის მიზნით.
- არ დათანხმდეთ საზღვარგარეთ გამგზავრებას შესაბამისი ნებართვის – ვიზის გარეშე.
- მოიპოვეთ დანიშნულების ქვეყანაში მდებარე ჩვენი ქვეყნის საელჩოს ან საკონსულოს მისამართი და ტელეფონის ნომერი.

IOM International Organization for Migration

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

დაიმახსოვრეთ!

თუ მიიღეთ საეჭვო წინადადება უცხოეთში მუშაობის თაობაზე, ან ვინმე მუქარით ან დაშინებით გაიძულებთ მასთან ერთად გაემგზავროთ, აუცილებლად დარეკეთ:

- **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის და დახმარების სახელმწიფო ფონდის ცხელი ხაზი:**

100 229

- **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი:**

411 714

თუ თქვენ ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდით, გახსოვდეთ:

საზღვარგარეთ და ჩვენს ქვეყანაში არსებობს ორგანიზაციები, სადაც დაგეხმარებიან, რათა თავი უსაფრთხოდ იგრძნოთ. მოგცემენ თავშესაფარს, გაგიწევენ იურიდიულ დახმარებას. ხმა მიაწვდინეთ მათ!

- ნუ დაუჯერებთ მათ, ვინც გაშინებთ, გემუქრებათ, გეუბნებათ, რომ ვერავინ დაგეხმარებათ. თამამად გადადგით ნაბიჯი დახმარების საძებნელად.
- თუ უცხო ქვეყანაში ხართ, შეეცადეთ საქართველოს საელჩოს დაუკავშირდეთ.
- თუ შეძლებთ, მიმართეთ პოლიციას.

IOM International Organization for Migration

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

თუ საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტეთ, დაიმახსოვრეთ და გააცანით სხვებსაც!

- ბრმად არ ენდოთ განცხადებებს — „მუშაობა, სწავლა, სტაჟირება საზღვარგარეთ"!
- ობიექტურად განსაზღვრეთ თქვენი შესაძლებლობები. ძალიან მნიშვნელოვანია შემოთავაზების სანდოობაში დარწმუნება და დანიშნულების ქვეყნის ენის ცოდნა.
- ვიზის მისაღებად პირადად მიმართეთ დანიშნულების ქვეყნის საელჩოს!
- არავის მისცეთ თქვენი პასპორტი და სხვა საბუთები!
- გამოიჩინეთ წინდახედულება, მიიღეთ სანდო ინფორმაცია!

გაეცანით ვებ-გვერდს:

http://www.informedmigration.ge

IOM International Organization for Migration

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

გაეცანით ვებ-გვერდს:

http://www.informedmigration.ge

ცნობარი შეიქმნა პროექტის „საქართველოს სასკოლო განათლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის სამსახურში" ფარგლებში

პროექტს ახორციელებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით

პროექტი დაფინანსებულია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ

IOM International Organization for Migration

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC